წელიწადი I-ლი ხუთშაბათი 23 დეკემბერი ფასი 15 მან.

ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად — 300 მან.

განცხადების ფასი:

1. გვერდზე პეტიტით სტრიქონი 20 მან.
4 „ „ 15 „

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იქონიებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად. რედაქტორის ნახვა დღ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივნის ნახვა შეიძლება შმიკევსკის სტამბაში 10 საათ. [illegible]

№ 88 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 88

ელექტრო თეატრი „აპოლლო“
ნ. დ. ბროწვალ-სხირტლაძის

ორშაბათიდან 20 დეკემბრიდან 1920 წ. ახალი გრანდიოზული სურათი

1 სერია. ხუმარა ტახტზე.

რუსული ისტორიული დრამა ორ სერიათ და 10 ნაწილად. სურათი მეფის დროიდან. „საიდუმლოება სასახლის ეკატერინე 2-ისა მოქმედება სწარმოებს 1076 წელს.
ნათამაშებია საუკეთესო მსახიობების მიერ.

ანონსი: პარასკევიდან 24 დეკემბრიდან 2 სერია

საიდუმლოება სიკვდილის პეტრე 3-ისა.

ელექტრო-თეატრი „ტრიუმფი“

თეატრი მოწყობილია საზამთროდ
ამერიკული სისტემით, მყუდრო და თბილია.

ორშაბათიდან 20 დეკემბრიდან ჩვენს ეკრანზე წავა სურათი

ვერა პაზაკოვისა.
რუსულ სახიობთა მონაწილეობით
ჩამავალი მზე
დასასრულ საუცხოვო მოგონება გემინისა.
სასაცილო.

ანონსი: მზადდება სურათი რკინის კანცლერი.

ანონსი: პარასკევიდან 24 დეკემბრიდან პროკურორი.

1921 წ. 2 იანვარს, საქართველოს ყველა ქალაქებში და აგრეთვე ბათომშიაც გაიმართება ტრადიციული

ქართველი მსახიობის დღე

ქართული თეატრის დაარსების აღსანიშნავად.
ზემოხსენებული დღის მომწყობ კომიტეტის შესაქმნელად ქალაქის

თვითმართველობის შენობაში,
პარასკევს 24 დეკემბერს

საღამოს 7 საათზე სათათბიროდ მოწვეულნი არიან: წარმომადგენელნი მეჯლისისა, ქალაქის გამგეობისა, მთავრობის კომისარიატის, ქ. ბათომის სამოქალაქო კავშირთა სეკრეტარიატისა, ბათომის სცენაზე მომუშავე მოღვაწეთა კავშირისა, სახალხო წარმომადგენლის მმართველი წრისა, სახალხო გვარდიის შტაბისა, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების, სოციალ-რევოლუციონერების და ნაციონალ-დემოკრატებისა.

ყველა ზემოხსენებულ ორგანიზაციებს ეგზავნება თათბირზე მოსაწვევი ბარათები.

ქართველ მსახიობთა კავშირის რწმუნებული ივ. ბარველი.

ბათომის მუშათა მაგიდა

პირველ იანვრიდან 1921 წლისა ხუთ მაგიდის სასადილოებისათვის

საჭიროა ხორცის მომწოდებელი

პირობები წარმოდგენილ უნდა იქნას მაგიდაში, დახურულ კონვერტით, 27 დეკემბრამდე.

3—2 მუშათა მაგიდა.

ბათომის მუშათა მაგიდა.

23 დეკემბრიდან, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე მაგიდა გასცემს ორდერებს შემდეგ სანოვაგის მისაღებად:

შაქარი, ფქვილი, მარილი და წუმწუმი

23—27 დეკემბრამდე მიიღებენ სახელმწიფო მუშა-მოსამსახურენი.

23—31 დეკემბრამდე საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მუშა მოსამსახურენი.

განაწილებულ იქნება:

შაქარი და მარილი თითო გირვანქა, წუმწუმი ერთი ყუთი სულზე.

სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის ღირება:

შაქარი . . . 35 მან. გირვანქა.
მარილი . . . 8 „
წუმწუმი . . . 2 გ. 50 მან.

საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთათვის

შაქარი . . . 260 მან. გირვანქა.
მარილი . . . 12 „
წუმწუმი . . . 5 „

ორდერები გაცემული იქნება მთელი ჯგუფისათვის ერთად. ჯგუფების დანაწილება და მათთვის ორდერების [illegible] [illegible] [illegible].

3—1 მუშათა მაგიდა.

ბათომი, 23 დეკემბერი.

25 დეკემბერს უნდა დაიწყოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზების კონფერენცია.

ცნობილია, რომ საქართველოს სამი წლის დამოუკიდებელ ცხოვრების ბრძოლაში რკინის გზამ საოცარი სრული ერთგულება გამოიჩინა და თავის დემოკრატიული თვით-შემეცნება რესპუბლიკისადმი [illegible] ერთგულება მტკიცეთ და მოავრით დაუმტკიცა. თავის თავად ცხადია, რომ დამოუკიდებლობის სათავეში მდგომ მთავრობისთვის რკინის გზა მაგარი ხელია. ბოლშევიკებმა ეს იციან და ამიტომ არის, რომ ემზადებიან 25 დეკემბრის ვერიშის[illegible]. ამ დღეს უნდათ დაიწყონ ძლიერი შეტევა რკინის გზელთა წინააღმდეგ და გასტეხონ სიმტკიცე მისი.

— ბოლშევიკების ბრძოლის მეთოდი ისეთია „შიგნით“ ბრძოლა რამაც უნდა გამოიწვიოს მათი გამარჯვება საზღვრებზე.

რკინისგზელები საქართველოს სახელმწიფოს თვით შეგნებულნი და პატრიოტ ეროვნულ ბრძოლაში დაწრთობილნი მშრომელნი არიან. რკინის გზელი სახალხო გვარდიელი და რკინის გზელი მუშა [illegible]. ეს ხალხი ასრულებს [illegible] თავის ტრადიციას და [illegible]. თავის ხალხს დღეს სოციალური განსაცდელი უწევს, მან იცის, რომ დამოკლული [illegible] [illegible] ბედნიერებას მას არ მოუტანს. ყველა საქართველოში მუშაობ და მით უმეტეს რკინისგზელებმა ზედ მიყვებით იციან თუ რა ამბავია სოციალისტურ კომუნისტურ ამიერ-[illegible], რადგან მათ შეხვდება

ქონდათ ყოფილიყვნენ იქ. რკინის გზელები დარჩნენ ერთგულები თავის ქვეყნისა დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ისინი აქ ჩვენსავე წიაღში შეეცადნენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაშიც მთავრობა კოლეგიურად დახმარებას მისცემს. ბოლშევიკები ამაოდ იწუხებენ თავს რკინის გზელთა შორის ბადის დაბმის კამპანიების გადაგდებით.

* * *

ევროპა და ჩვენ.

საქართველოს „ლეგიტიმაცია“ გვიანდება იმის გამო რომ ევროპის ეგოისტური ცივი პოლიტიკა ამიერკავკასიის გაურკვეველ და მერყევ მდგომარეობას არ ენდობა.

შორს არის ევროპა ჩვენზე, მან არ იცის რა ხდება ჩვენში და ამიტომ მისგან უკანასკნელ სიტყვის თქმას.

სხვაგვარად საქართველო, როგორც აზიის და ევროპის ხიდის სვეტი და რაჯი, სახელმწიფოთ, ევროპას [illegible] სჭირია.

საქართველოზე ხლიპრები და ლეგენდები ვრცელდება ევროპაში, რომ იგი უკვე „ადებულია“ ბოლშევიკებისაგან. იქ საბჭოთა მთავრობა და ევროპიელი კომუნისტები გადაცა[illegible]. ბოლოს სომხეთის კაპიტულაციამ რა თქმა უნდა მომაკვდინებელი გავლენა იქონია ევროპაზე, (რომლითაც დამტკიცებულად და საქართველო რაღაც წითელი კავშირით ფიქრობენ ახლა შიში ევროპიელები. ჩვენც მგონი ამ დიპლომის მიღებას „დე იურე“ არ უნდა ჩავარდეთ, სულ მალე დადგება დრო, რომ ჩვენი სახელმწიფოური ყოფა თავისთავად აღიარებულ, ევროპამ

გვიცნობს, საცხის მოცემა და ჩვენში კონცესიების აღება „დე იურეს" ცნობის დასაწყისია, მაგრამ როგორც ვსთქვით ეს „დე იურე" ჩვენ მაინდამაინც ნუ გაგვიტაცებს, ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი თავის იმედი, ჩვენ უნდა შევქმნათ საქართველოს წინა რიგში ძალიან გაპიროვნებული, თავის კულტურით და ეკონომიურ სიღონით როცა ევროპა და ყ ვ ე ლ ა დაგვიფასებს ჩვენი წინა სწორობის მიხედვით, კვლავ ვამაგროთ ჩვენი სახელმწიფო, ვაშენოთ რაც დაგვრჩა ასაშენებელი და „დე იურე" თავის თავად მოვა!..

ი. ლიჩეძე.

ქართული პრესა.

ბ. შეინმანის დეპეშის გამო „ერთობა"-სწერს.

ის დეპეშა, რომელიც საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბ. შეინმანმა გაუგზავნა მოსკოვის მთავრობისათვის და რომელიც ზოგიერთ გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, ფარდას ხდის საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის გამწვავებას და დღის სინათლეზე გამოაქვს ბევრი გაუგებრობის მიზეზები ამ ორ შეთანხმებულ სახელმწიფოთა შორის. აქიდან ჩვენ ვიცით, რომ ამ გაუგებრობათა წყარო სათავე აქვს თვით მისიაში. ის ცნობები, რომლის მიხედვითაც მოსკოვის მთავრობამ ამ მოკლე ხანში გადასწყვიტა ნავთის გამოგზავნის შეჩერება საქართველოსთვის, მოსკოვში, ეჭვი არ არის, საბჭოთა რუსეთის მისიიდან იგზავნებოდა. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ეს ცნობები, რომლებმაც ასე გაამწვავეს უკვე შეთანხმებულ სახელმწიფოთა ურთიერთობა, თავიდან ბოლომდის ან სულ მოჭორილია, ან ყალბად არის გაშუქებული.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში იმისა, თუ როგორ არის დამახინჯებული ფაქტები ბ. შეინმანის მიერ მოსკოვის მთავრობისადმი გაგზავნილ დეპეშაში. მაგ., იგი ატყობინებს საბჭოთა რუსეთის მთავრობას, ვითომც საქართველოს არ სურდეს შეასრულოს ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ბათომის პორტში მოსულ რუსეთის გემებს ეხება. მაგრამ თვით ბ. შეინმანმა მშვენივრად იცის, რომ ამ მუხლის ასრულების შესახებ ხანგრძლივი მოლაპარაკება სწარმოებდა შეთანხმებულ მთავრობათა წარმომადგენლებს შორის და თუ კი ვინმე აგვიანებდა ხელშეკრულების ხსენებული მუხლის ფაქტიური შესრულების შესაძლებლობას, ეს იყო საბჭოთა რუსეთის მისიის წარმომადგენლები და არა საქართველოს მთავრობა.

მშვენივრად იცის ბ. შეინმანმა ისიც, რომ საქართველოს რკინის გზებზე ადგილი არ ჰქონდა არავითარს ხელოვნურ დაბრკოლებას დამშეულ სომხეთისათვის „სურსათ-სანოვაგის", გასათბობ მასალის და სხვა ბარგის გადაზიდვის საქმეში. სურსათ-სანოვაგის ერთი გზავნილიც არსაიდან მოსულა სომხეთისათვის, და ბ. შეინმანს იგი ნახსენები აქვს, უეჭველია, იმ მიზნით, რომ ქვეყანას მოაჩვენოს, ვითომც საბჭოთა რუსეთს გულით უნდოდეს დამშეული სომხეთის გამოკვება და საქართველო ხელს უშლიდეს მას ამ კეთილ საქმეში. რუსეთი თვითონაც იმდენად არის დამშეული, რომ სომხეთს იგი ვერავითარ „სურსათ-სანოვაგეს" ვერ მიაწვდის. რაც შეეხება სათბობ მასალას, მისი გაგზავნა დაბრკოლდა რამდენსამე ხანს მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი თოვლის გამო რკინის გზა დაზიანდა. საბჭოთა სომხეთის მთავრობას ამ დაზიანების გამო მიწერ-მოწერაც კი ჰქონდა საქართველოს მთავრობასთან და ბ. შეინმანს უნდა იცნობდეს ამ საკითხს.

ასეთივე ხასიათისაა ცნობები მისიის თანამშრომელთა დაპატიმრებისა და ადგილობრივი კომუნისტების დევნის შესახებ. ბ. შეინმანს ყველაზე უკეთ მოეხსენება თავისი მისიის შემადგენლობა. მის „თანამშრომელთა" შორის ბევრია საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მისიას შეაფარეს თავი, რომ ამ საშუალებით ერთნაირი იმმუნიტეტი, ხელშეუხებლობა მოიპოვონ და თავისუფლად აწარმოონ „რევოლიუციური" მუშაობა საქართველოს დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. და თუ საქართველოს მთავრობა „ამნაირ „თანამშრომელთა" ასალაგმავად რაიმე ზომებს იღებს, ეს საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა კი არა, პირიქით მისი პირდაპირი განხორციელება არის.—საბჭოთა რუსეთის მისიას თვითონვე ვალდებული ალაგმოს თავისი ასეთი „თანამშრომლები" და, თუ თვითონ ამას არ ჩადის უნდა წაიწყდეს მაინც, როდესაც საქართველო ხელშეკრულობით ნაგულისხმევ თავის უფლებებს ასრულებს. რაც შეეხება ადგილობრივი კომუნისტური პარტიის დევნას, უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული იყო უტყუარი საბუთები იმის დამამტკიცებელი, რომ კომუნისტები ჩვენში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებენ და მის მოსაწყობად ხარჯავენ რუსეთიდან მიღებულ მილიონებს. თუ ეს დასაშვები არ არის საბჭოთა რუსეთისათვის, სადაც ამისთანა უცხოეთის აგენტებს ჯგუფ-ჯგუფად ხვრეტენ, რად უნდა აშფოთებდეს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, როდესაც საქართველოში მხოლოდ აპატიმრებენ უცხოეთის ამისთანა მოსყიდულ აგენტებს?

ჩვენ აღარ გამოვუდგებით ბ-ნ შეინმანის დეპეშის სხვა ფაქტების დარღვევას: ყველა ეს ფაქტები, ვიმეორებთ, ან მოგონილია, ან დამახინჯებული. ჩვენ გვინდა მივაქციოთ ყურადღება დეპეშის კიდევ რამდენიმე ადგილს, საიდანაც აშკარა ხდება, რომ მოსკოვის მთავრობის განკარგულებით საქართველოსათვის ნავთის მოწოდების შეჩერება ნაკარნახევია მთლიანად ბ-ნ შეინმანის მიერ. ბ-ნ. შეინმანის დეპეშაში საქმე ისეა მოჩვენებული, ვითომც ცნობ—ნავთის მიწოდების შეჩერება საუკეთესო „პედაგოგიურს" გავლენას ახდენდეს საქართველოზე, იგი არ ასრულებს მაგ. ხელშეკრულების იმ მუხლს, რომელიც გემებს შეეხება: მაგრამ „ბაქოდან თბილისში ნავთის პროდუქტების მოწოდების შეჩერების შემდეგ საქართველოს მთავრობამ წინადადება მოგვცა განვეგრძო მოლაპარაკება გემების შესახებ და პირველსავე თათბირზე 13 დეკემბერს დათმობის გზაზე დადგა..." საქართველო არ აბრკოლებდა სომხეთისათვის გაგზავნილ „სურსათ-სანოვაგეს, სათბობ მასალას და სხ. „და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ნავთის მარშრუტები შევაჩერეთ, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად შეგვატყობინა 14 ამ თვეს, რომ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას და ა. ს. ს. რესპუბლიკას თავისუფალი ტრანზიტის უფლება ეძლევათ საქართველოს რკინის გზებზე სომხეთისაკენ". ერთის სიტყვით ბ. შეინმანი ერთნაირი რეპრესიული ზომების საჭიროებას ამტკიცებს საქართველოს მიმართ,

დღეს ჩვენთვის აშკარა ხდება ჩვენი უთანხმოების წყარო საბჭოთა რუსეთთან. ადგილობრივი კომუნისტები არიან საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის სულის ჩამდგმელნი. საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბ. შეინმანი გარშემორტყმულია იმ საქართველოს მტრებით, რომლებიც შეურიგებლად არიან გაბოროტებულნი საქართველოს მთავრობაზე და დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ როგორმე გაამათილონ საქართველოს და საბჭოთა რუსეთის შორის დამყარებული თანხმობა. ამ საქართველოს მტრებისათვის ბ. შეინმანს ფართოდ აქვს გაღებული კარები და მათ სიტყვებისათვის მუდამ მზადა აქვს ყურები. მათი პირისიდან იღებს იგი ყველა იმ ცნობებს, რომლებსაც გზავნის მოსკოვისაკენ მათივე პირისიდან ღებულობს იგი დირექტივებს, რომლებსაც აქედან უკარნახებს მოსკოვს და ამას სჩადის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი, რომლის მთავარი დანიშნულება იმაში უნდა იყოს, რომ მიაღწიოს შეთანხმებას და გაანელოს და ბოლო მოუღოს ყოველს გამწვავებას, რაც კი მეზობელ სახელმწიფოთა შორის ატყდება.

ქრონიკა.

☛ გუშინ ბათომში მიელოდენ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდალს გენ. ოდიშელიძეს

☛ კაპიტანი ირ. დიდიძე განაგრძობს სამხედრო ნაწილებში ჯარისათვის ლექციების კითხვას.

☛ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ბ-ნ კარლო ჩხეიძე მინისტრი კანდელაკი და სხვანი გუშინწინ საღამოსვე გაემგზავრენ თბილისს.

☛ ქალაქის თვითმართველობამ აუცილებლობად აღიარა განსაკუთრებული მთავრობის დეკრეტით ქ. ბათომის განწმენდა, ზედმეტ მცხოვრებთაგან დაცლა.

☛ გუშინ წინ საღამოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ბ-ნ კარლო ჩხეიძე მთავრობის [illegible] რწმუნებულთან ერთად დაესწრო ნ-ს სიმაგრეზე სოლქის სახალხო გვარდიის ვარჯიშს.

☛ მუშათა მაგიდა შეუდგა საკუთარ ბოსტნის მოწყობას, მან ტექნიკური სამუშაო ძალა სთხოვა ციხე სიმაგრეთა შტაბს.

☛ გუშინ ქალაქში სწარმოებდა უბილეთობის და სხვა და სხვა საეჭვო პირთა შეპყრობა.

☛ გაზეთის ქაღალდის გაძვირება—ბათომში გაზეთის ქაღალდი არაჩვეულებრივად ძვირდება უკანასკნელ დროს ქაღალდი ღირს ფუთი 17—21 ათას მანეთამდე.

◆ საზ. „მევარდენის" ვარჯიშთავმა ქალაქის თვით მმართველობას მიმართა თხოვნით, რომ ქალაქი დაეხმაროს ნივთიერად უმწეო მდგომარეობაში მყოფ „მევარდენის" საზოგადოებას, ამ ჟამად „მევარდენისთვის" აუცილებელია ბინა დარბაზი და შეში.

☛ ბათომში ცხენების შესყიდვა დასრულდა.

☛ გუშინ ბათომში მიელოდენ ჯარების სარდალს გენ. მდივანს;

◆ შაბათს, 25 დეკემბერს ბათომის ვაჟთა გიმნაზიასთან არსებული მშობელთა წრე და ამავე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ მართავს საღამოს გიმნაზიის დარბაზში. საღამოს მომწყობი კომისია ქ-ბ ნ. ჯაფარიძის მეთაურობით ენერგიულად მუშაობს. იმედია ბათომის საზოგადოება დაესწრება საღამოს და დახმარებას აღმოუჩენს ღარიბ მოწაფეებს, რომელთაც გიმნაზიიდან დათხოვნა მოელით.

ნავთ სადგურში.

— მოვიდა ბერძნული გემი „სიდერადისი", რომელმაც მოიტანა ბერძენ გამოქცეულთათვის პურის ფქვილი.

— 21 დეკემბერს სოხუმიდან გემი „ცხენის წყალი", რომელმაც მოიტანა ხილი.

— 12 დეკემბერს ხიოსიდან მოვიდა გემი „იზმონი".

— 22 დეკემბერს წავიდა გემი „მარია" სოხუმისკენ.

— გემი „ალკანა" განაგრძობს დატვირთვას.

— 24 დეკემბერს სალონიკისკენ წავიდა გემი „ხიოსი".

— 22 დეკემბერს უნდა გასულიყო იტალიური გემი „სიკონია".

— 20 დეკემბერს წავიდა გემი „მალხულ ბახრუ" ფოთისკენ.

— 23 დეკემბერს მოელოდენ სტამბოლიდან გემ „ჟანნას"; გემი „ფრანც იოსებ კეროლინა" უნდა მოსულიყო 22 დეკემბერს.

— 21 დეკემბერს ხოფისკენ წავიდა გემი „ლაზეთი".

— 21 დეკემბერს სოხუმისკენ წავიდა მატორიანი გემი «სოფია»

— 21 დეკემბერს ტრაპიზონში წავიდა მატორიანი გემი „გულჯაბელი".

ქალაქის თვითმართველობაში.

— ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი პირველ დაწყებითი და უმაღლეს სასწავლებლების ქალაქის განკარგულებაში მიღების შესახებ.

— ქალაქის გამგეობა შეუდგა 1921 წ. ხარჯთ აღრიცხვის შედგენას.

— ქალაქის საბჭომ 21 დეკემბერს განიხილა საკითხი რუსულ პირველ დაწყებით სკოლაში მე 7 გაკვეთილის შემოღების შესახებ.

— მეორე პირველ დაწყებითი სასწავლებლის გამგე სთხოვს ქალაქის თვითმართველობას მისდამი სასწავლებლის შეკეთებას, რადგან ამ ჟამად სასწავლებელში წვიმა ჩადის.

— ქალაქის გამგეობას აზრად აქვს დიდი ხეები ქალაქის ქუჩებში დასჭრას და შეშად მოიხმაროს, ხოლო მათ მაგივრად დარგოს კულტურული ნაყოფიანი ხეები.

— მილიციას წინადადება მიეცა, რომ თვალყური ადევნონ ტელეფონ ტელეგრაფის ხაზს, რომ ხაზს არავინ გააფუჭოს.

— საზოგადო ბოსტნის მოსაწყობად ქალაქის გამგეობამ მოიწვია მცოდნე და გამოცდილი პირები.

— ქალაქის სასურსათო განყოფილების მაღაზიაში ნურიის ბაზარში ქალაქის გამგეობა ყიდის პურს გირვანქას 125 მან. თითო სულს მიეცემა არა 10 გირვანქა.

— სამსახურის დროს დანაშაულისათვის მეოთხე უბნის კომისრის თანაშემწე ჩიქოვანი გადააყენეს და პასუხის გებაში მისცეს.

— გაცემულია განკარგულება რომ მილიციამ გასინჯოს ყველა სახლის წიგნები და შეამოწმოს 1900 წ. დაბადებულ ახალ გაზრდათა ვინაობანი.

— რადგან ბაზარზე ხშირად იყიდება სამხედრო ტანისამოსი ფეხსაცმელი და საბნები ამისათვის გაიცა განკარგულება, რომ დღეის ამას იქით ყველა სახაზინო ნივთის გამყიდავნი შეპყრობილ იქმნან.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა განკარგულება გასცა გადასცენ ქალაქს თავის შენობა სადგურ ბათომზე.

საუბარი ნ. ჩხეიძესთან და კ. კანდელაკთან.

დე იურეს შესახებ ეს კითხვა ევროპისთვის დღიურ წესრიგში დასმულია. არ შეიძლება, რომ იმათ შორის ვისზედაც დამოკიდებულია მისი გადაჭრა სრული ერთსულოვნება სუფევდეს, ეს გამომჟღავნდა სხვათაშორის ხალხთა ლიგის სხდომაზეც. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს იურიდიული ცნობის საკითხს დიდი ყურადღება ექცევა.

თავის თავად ცხადია, რომ კატეგორიულად არ შეიძლება ითქვას დატიურად, თუ როდის მოხდება ცნობა ჩვენი, დე იურესი. ეს საგრძნობლად დამოკიდებულია ევროპაში არსებულ მდგომარეობაზე და მის პოლიტიკის მიმართულებაზე.

დღეს მთელი ევროპა განურჩევლად კლასისა და მიმართულებათა იღწვის ერთიანობით დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად, კომერციულ [illegible] ურთიერთობის განახლებად ასეთივე ურთიერთობის განმტკიცებას ევროპა საქართველოსთან. ჩვენთვის ნათელია თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება თვით ევროპისთვის ჩვენ დეიურეს ცნობას, რომელიც ეკონომიურ კავშირებს აბამს ჩვენთან.

ამ სათვის მთელი ევროპის ყურადღება მიპყრობილია იქითკენ თუ რამდენად შესძლებს საქართველო მისცეს ევროპას გარანტიები ეკონომიურ ურთიერთობისა და შეინარჩუნოს დღევანდელი ფაქტიური დამოუკიდებლობა ე. ი. თუ რამდენად მტკიცედ [illegible] საქართველო იმ გზაზე რომელზედაც იდგა დღემდის დასავლეთი ევროპა უკვე საკმაოდ გაეცნო საქართველოს ხალხის [illegible] მოქმედებას და იმედოვნებს, რომ საქართველოში სახელმწიფოური აღმშენებლობა არ შესწყდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მიცემული ეკონომიურ ურთიერთობას, ინგლისი ყოველ ეკონომიურ საკითხს სჭრის პრაკტიკული თვალთახედვით. ასე მოიქცა ის საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დროს. რამაც რუსეთი იძულებული იქმნა, შეთანხმების გზას დაადგეს. საქართველოსთან კი ევროპას უკვე მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა აქვს, ამის გათვალისწინების შემდეგ ცხადი ხდება, რომ იურიდიული ცნობის საკითხი გადახლართულია ეკონომიურ ურთიერთობის საკითხთან. შესაძლებელია პრაკტიკულად საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დროს ინგლისი დასვამს კითხვას საქართველოს შესახებაც და ეს გარემოება გვაძლევს იმედს ჩვენ რომ საქართველოს კითხვა ჩვენდა სასურველად გადასწყდება.

როგორი მდგომარეობაა თვით ევროპაში.

ამ ჟამად ევროპა არარის [illegible] ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, და სხვანი — რომელნიც სცხოვრობენ სხვა და სხვანაირ პირობებში, ყოველ შემთხვევაში შეიძლება ერთის თქმა. ევროპამ უნდა გაიმარჯვოს და დამყარდეს ჭეშმარიტი დემოკრატიული მთავრობა ამისათვის ამჟამად ევროპაში სწარმოებს შესაფერი მოძრაობა და ამ მოძრაობას, რასაკვირველია ყველგან თავისებური ხასიათი აქვს;

— ინგლისში როგორც უმეტესად დამწიფებულ სახელმწიფოში შეიძლება მოხდეს ყველაზე უფრო ადრე.

ჩვენთვის ცხადია, რომ ბოლშევიზმი რომელიც აღმოცენდა რუსეთის სინამდვილეში და არა ევროპიულ ცხოვრებიდან ვერ [illegible] ვერ [illegible] ევროპაში [illegible], რადგან ევროპის კულტურა ცხოვრება დიამეტრალურად განირჩევა რუსეთის სინამდვილისგან.

ამის დამამტკიცებელ მაგალითად უკვე წამოდგა. ევროპის მუშათა კლასი საბოლოოდ სდგება ჭეშმარიტი დემოკრატიზმის გზაზე. და იმიჯნება იმ ილუზიებისგან, რომელიც რუსულმა ბოლშევიზმა შექმნა. რუსეთი უნდა გადაახალდეს ევროპის მეთოდებით და არა ევროპა რუსეთით.

დაამთავრა ნ. ჩხეიძემ ხვალ დავსტამბავთ საუბარს მინისტრ კ. კანდელაკთან.

25 დეკემბრის საღამო.

25 დეკემბერს ვაჟთა გიმნაზიის მშობელთა, წრე ჰმართავს დიდ საღამოს ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად. დღეს ჩვენი სასწავლებლები ერთობ უმწეო მდგომარეობაში არიან. ნივთიერი ხელმოკლეობას ყველა სასწავლებელი გასაჭირში ჩაუგდია.

განახლებულ თავისუფალ საქართველოს სასწავლებლები ყველაზე უფრო სჭირია. ეროვნულ კულტურის ამაღლებამ და ახალ თაობის სასურველმა აღზრდამ უნდა მისცეს ჩვენს სახელმწიფოს უმთავრესი იმედი.

ამიტომ მივხედით ჩვენ სასწავლებლებს ნუ იქნებით გულ ცივები მისდამი.

საზოგადოებამ უხვად უნდა გაიღოს წვლილი ამ საღამოზე, შეძლებული კლასი უნდა მოვიდეს ამ საღამოზე გავამხნევოთ ჩვენი მასწავლებლები რომლებიც ნივთიერად ღატაკნი, თავდადებულად იღწვიან და ზრდიან ჩვენ შვილებს. შევქმნათ სასწავლებლებს საკუთარი ფონდი ისე როგორც ეს ევროპაშია, მეტი ყურადღებით მოვეპყროთ სასწავლებლის ნივთიერ მდგომარეობას, არ დაივიწყოთ 25 დეკემბრის საღამო.

ყველა მოვიდეთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

ბ—ლი.

მუშათა მაზიდის ბოსტანი.

ბათომის მუშათა მაზიდა ჰქმნის საკუთარ მეურნეობას, აწყობს ბოსტანს, ეს არის დემოკრატიულ ორგანოს თვითმოქმედება რასაც ყველა სიმპატიით შეხვდება. სწორეთ ასეთ მუშაობას შეუძლია ნაყოფის გამოღება, მუშათა მაზიდის გაფართოება და მისი გამკვიდრება ნამდვილ სახალხო ოჯახის სახის მიცემა.

ვუსურვებთ მუშათა მაზიდას ასეთ თვითმოქმედებითი გზაზე გამარჯვებით მოღვაწეობას.

მუშა.

სტამბოლის ცნობები.

სარწმუნო ცნობებია რომ ყარაბექირ-ფაშა იარაღით წინააღმდეგობას გასწევს თუ მას სომხეთის დაცლა მოსთხოვეს

— ყარაბექირ-ფაშა კატეგორიულად უარს ამბობს სომხეთთან ახალ საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე.

უკანასკნელი საათი.

ისიდორე რამიშვილი ოლქიდან დაბრუნდა.

სომხური პრესა.

„აშხატავორი" (№ 280) თავის [illegible]ულში სწერს შემდეგს:

„[illegible], რაცა, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლეგრანი მოლაპარაკებათა საშუალებით ხელშეკრულობას სდებდა სომხეთის მთავრობასთან, იმავე დროს რუსის ჯარები შედიოდნენ ყარავანსარაიში. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ლეგრანი, ბოდიშს იხდის ამ „გაუგებრობის"-თვის და ჰპირდება უკან დასწიოს ჯარები სომხეთის საზღვრებიდგან. მაგრამ ერთი-ორი საათის შემდეგ აცხადებს, რომ „საუბედუროდ" მისი განცხადება გაუგებრობაა, და რუსის კომუნისტურ კომიტეტის განკარგულების თანახმად მოსკოვიდან ინსტრუქციაა მიღებული „სომხეთის დაუყონებლივ სოვეტიზაციისათვის", მოვლენათა შემდეგი განვითარება უკვე ცნობილია, თუმცა სავსებით არა. ოსმალეთის ჯართან, მებრძოლ ჯარების უკან დახევა რუსების წინააღმდეგ შეუძლებელი ხდება, და ქარავანსარაიში მყოფი ჩვენი მცირე რიცხოვანი ჯარი ვერ უწევს წინააღმდეგობას, ტყვედ ვარდება, განიარაღდება და შემდეგ ამხანაგ წითელ ჯარების მიერ. მთავრობა იძულებული იყო დაეთმო, და რუსის ჯარი ძალით შედის, იჭერს სომხეთის ტერიტორიის ნაწილებს და ახდენენ ძალადობით იმ გადატრიალებას, რასაც კომუნისტები მოურიდებლად სცდილობენ, გარეშე ხალხს წარმოუდგინონ როგორც „აჯანყება", „რევოლიუცია".

„წინადვე ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მოსკოვის მადა არ დაკმაყოფილდება მარტო სომხეთის სოვეტიზაციას და ხვალ თუ ზეგ ჯერი მიდგება საქართველოზე

უილაჯობის გამო შეიძლება შეგინება და ჩაქოლება „დაშნაკცუთიუნის" პარტიისა, დაბრალება მისი ყველა ბოროტების საბაბად, როგორც მენშევიკური პრესა სჩადის, მაგრამ თვალი არ უნდა დახუჭონ იმ გარემოებაზე, რომ ყოველმხრივ ალყა შემორტყმული საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა დღეს უფრო მეტად ძნელია, ვიდრე მაშინ, როცა მისი ზურგი უზრუნველყოფილი იყო სომხეთის მხრივ.

ხოლო ეს აღარ არის, პირობები ძალიან ხელსაყრელია მოსკოვისთვის და ჩვენ თვალით ვხედავთ კომუნისტურ დიპლომატიის ჩვეულებრივ ოინებს, იმ დროს, როცა რუსეთის და აზერბეიჯანის წარმომადგენელნი მოლაპარაკებას აწარმოებენ საქართველოსთან სადავო საკითხების მოწესრიგებისათვის, სწორედ იმ დროს მისი საზღვრებზე ხდება რუსის ჯარების თავმოყრა.

იმავე დროს, ჩიჩერინის განკარგულებით არა მარტო ბრკოლდება

დაიკარგა

ყაზარ გასპაროვის ბოლბუღლიანის პასპორტი მიცემული სომხეთის საკონსულოსაგან მიღებული. პასპორტში ცოლ-შვილიც იყო აღნიშნული.

(1—1)

იმ ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა, რომელიც დადო რუსეთმა, აზერბეიჯანსა და საქართველოს შორის, არამედ პატიმრების საქართველოს წარმომადგენელთ ამ ქვეყნებში. ნორმალური საგარეო-მორისო ურთიერთობათა თვალსაზრისით ეს უმაგალითო ნაბიჯი სხვა რაფერია თუ არა ომის წინამორბედი ფაქტი.

შეიძლება ესეც ,,გაუგებრობა'' იყოს მაგრამ ძალიან გვეშინიან, რომ ამ გაუგებრობის ქვეშ არ იმალებოდეს კომუნისტურ პარტიის რომელიმე ინსტრუქცია.

მაგ თუ ისე საქართველოს დემოკრატია დღეს სდგას საბედისწერო ხიფათის წინაშე, მისი დამოუკიდებლობას ემუქრება ქემალისტური ოსმალეთი და საბჭოთა რუსეთი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობების თანახმად საქართველოს მთავრობას არც ერთი ისეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყოს წყრომის გამოწვევა. მგლის და კრავის არაკი დამახასიათებელია რუსულ-ქართულ ამ ეპიზოდისთვის.

მიუხედავად, რომ ქვეყანს დამოუკიდებლობას ემუქრება ხიფათი, უნდა ყველა ძალები რაც უნდა მოიყარონ ამ ხიფათის ასაცილებლად. მთავრობა მოვალეა გაასწოროს თავისი შეცდომები, თუ კი ასეთები ყოფილა და საერთოდ აწარმოოს ლოიალური-მეზობლური პოლიტიკა მეზობელ ქვეყნებთან დამოუკიდებლობის შინაგან წესწყობილებას. საქართველოს მშრომელმა ხალხმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მზადაა და შეუძლია ებრძოლოს ყველა იმ ელემენტებს, რომლებიც შეეცდებიან ძალით მოახვიონ საქართველოს თავიანთი სურვილები.

ჩვენი მშრომელი მასსა საკმარისად მომწიფებულია საკუთარი ძალებით, და არა გარეშე ძალდატანების ქვეშ მოაწყოს თავისი ბედი.

ევროპა და საქართველო.

ევროპიდან დაბრუნებულ პასუხისმგებელ პირთაგან ჩვენ გავიგეთ, რომ საქართველოს ,,დეჟურე'' შენარჩუნებულია ახლა ნაცნობიც არის, საერთოდ ამ აქტის გამოტანა დაგვიანდა ამიერ-კავკასიის მეორე [illegible] ყოველ დღე თითქმის ევროპის ოფიციალურ გაზეთებში აქტიმზებულია ცნობები, რომ საქართველო გარს შემორტყმულია მტრებით, შევიწროებით და ქემალისტებით, რომლებიც აგერ აგერ დაიპყრობენ საქართველოს. სომხეთის დაქცევამ უფრო ხელმძღვანელ მდგომარეობა ხელი, რადგან ეგონათ რომ, ვერც საქართველო გაუძლებს თავდასხმას. ამას წინად ოფიციალურ დეპეშებში დაისტამბა ცნობა, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა გამოცხადდა და ყველა ევროპიელი გაიქცაო. ბოლოს მეგობრებს გადაეცათ ამ ხმების უსაფუძვლობა საქართველოს დელეგაციებიც ვერ აბრუნებდნენ. რაც შეეხება ევროპის დამოკიდებულებას ჩვენადმი ეს საუკეთესოა, თორემ ევროპა ოფიციალური და არა ოფიციალური ჩვენადმი სიმპატიურად არის განწყობილი. ამის დამადასტურებელია ის გარემოება რომ ევროპამ ითხოვა მრავალი კონცესია საქართველოში. ყოველი უცხოელი კომერსანტი საგარეო საქმეთა სამინისტროდან ინგლისის და საფრანგეთზე იღებდა ქაღალდს, რომ საქართველოსთან კომერცია და ურთიერთობა სასურველია.

ერთ ლიგაში ძლიერ ბევრი მომხრე გვყავდა ჩვენ, და მოსალოდნელია საბოლოოთ ჩვენ მიგვიღონ ლიგაში ამ ჟამად ჩვენი წარმომადგენლები ესწრებიან რა ლიგის სხდომებს მონაწილეობენ ტეხნიკურ საკომისიით და სხვა კომისიებში (საქართველოს სესხის საქმე სასურველად ჩატარდა ევროპაში.

სავაჭრო სახლი

ძმ. სესიაშვილები და ამხ.

შერემეტევის ქ. № 71

კავკასიური

ნატურალური კონიაკი

ვაჭრობს ბითუმათ, ბოჩკებით და ბოთლებით.

კურის ღვინო

,,რეკორდი''

საუკეთესოდ გაწმენდილი ,,სავალის'' აპარატებით

ყურძნის არაყი.

ხილის არაყი (,,ჭაჭა'')

ახლად დამზადებული, ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიკრულია.

თავდაცვის ფონდი.

კვირას, დეკემბრის 19 სასახლეში (ოთახში № 29) შესდგა თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: თავმჯდომარე ბ-ნი ა. ჩხენკელი, დ. [illegible], ც. ხაჩანაშვილი, ნ. ყორყელიანი, ი. [illegible], გ. [illegible], ი. სტურუა, ს. ყორღანიანი. ტე[illegible]ნიანი ბ-ნი ანტ. [illegible]ლიანის მოხსენების შემდეგ პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ განხილულ იქნა მ-რიგი საკითხები, რომელთა შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი.

სახელმწიფო ბანკისა და მთავარ გამგეობის მუშაობის შეთანხმებისათვის შემდეგში, საჭიროებისამებრ, მოწვეულ იქნეს პრეზიდიუმისა და გამგეობის სხდომებზე ბ-ნი სამსონ კილაძე, რომელიც სახელმწიფო ბანკში განაგებს შემოწირულებათა საქმეს საკუთარი წიგნაკები გაეგზავნის ყველა იმ ცენტრალურ დაწესებულებას, რომელნიც შემოდიან მთავარ გამგეობაში — ქალაქთა კავშირის, ერობათა კავშირის, ქალ. თვითმართველობის, სავაჭრო პალატას და სხ. რომელნიც შემდეგ [illegible] დაუგზავნიან ადგილობრივ ფონდის ორგანიზაციებს. კრებამ [illegible] საზოგადოთ დამტკიცებული [illegible] წესი შემოწირულებისა და [illegible] გაკეთება. ქალ. [illegible] გამოყოფილ იქნა ცალკე [illegible] ლად და ქალაქის გამგეობას [illegible] შემოწირულებათა შეგროვების ორგანიზაცია თფილისში.

ამ მიზნით [illegible] გამოცხადებული დღე ოთხშაბათს დეკემბრის 22 მთავარი გამგეობის პრეზიდიუმისა, [illegible] და ქალ. გამგეობის წარმომადგენლების შეერთებული სხდომა, რომელზედაც საგანგებოდ იქნება განხილული საკითხი თფილისში ,,თავდაცვის კვირის'' მოწყობისა. პრეზიდიუმის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რესპუბლიკის დიდ პუნქტებში — ბათუმსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, სამტრედიისა და სხ. უკვე დაარსებულა ფონდის გამგეობანი, რომელნიც მუშაობას უკვე შეუდგნენ და, როგორც ცნობები მოდის, შემოწირულებანი უხვად იკრიბება.

ხანდისხან

ზოგ უწყებაში გამეფებულია კანცელიარია ზოგ უწყებაში ,,სასწრაფო'' დეპეშებს თვეობით არც კი ჰკითხულობენ, ზოგ უწყებაში ქართული სრულებით არ იციან.

ხალხის ხელისუფლებმა მიაქციონ ყურადღება ამას.

ძველი.

მუშათა შორის.

21 დეკემბერს შრომის ბირჟაში მოვიდა 47 კაცი (16 მამაკაცი და 10 დედაკაცი). ახლად ჩაეწერა 14 კაცი (4 მამაკაცი და 10 დედაკ.), ამათგან 7 მეთუთუნე (1 მამაკ. 6 დედაკ.), 1 პურის მცხ., 1 ნოქარი, 1 [illegible], 1 მზარეული, 1 ძიძა, 1 [illegible], 1 მოხარეჯე (მამაკ.) მოითხოვეს 1 ხელზე მოსამსახ. გაგზავნილია სამუშაოზე 1 სულ. მოს. 22 დეკემბრისთვის მოთხოვნილია 1 მეპურე და 1 მზარეული.

სარედაქციო კოლეგია.

ნ. ა. გამყრელიძის ცირკი.

ხუთშაბათი 23 დეკემბერი

გრანდიოზული წარმოდგენა სამ განყოფილებათ.

უკანასკნელი გასტროლი

ა. ა. დუროვისა

ყველა ჭიდაობა გადამწყვეტია.

ჭიდაობს ორი წყვილი.

1. ქვარიანი უცნობის წინააღმდეგ.
2. [illegible] მუშის წინააღმდეგ

ანონსი: კვირას 26 დეკემბერს გრანდიოზული ბენეფისი ცირკის დირექტორისა ა. ა. გამყრელიძისა.

კვირას 26 დეკემბერს უკანასკნ. დღითი წარმოდგენა ა. ა. დუროვის მონაწილეობით.

ამ დღეებში ბენეფისი რაზაკაზოვისა.

განცხადება

[illegible] პატივი ვაცნობოთ ბათომის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ

ძმ. აბულაძეებმა გავხსენით

სასადილო

[illegible]რიაში, ასათიანის და შეველევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება

იმერული საჭმელები.

[illegible] აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ჩვენში საწყლებით და ზომიერ ფასებში.

საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.

პატივისცემით **ანტონ აბულაძე,**

რედაქტორ-გამომცემელი სტამბა ხ. ვ. [illegible]ისა, მახარაძის ქ. №21 ბათომი.